

საქართველო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სასწავლო უნივერსიტეტი  
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის  
სენატის გადაწყვეტილება №13/7, 30.11.2017




ი. შარაბიძე

აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის  
მეთოდოლოგია და წესი


ND 2-O21

შეთანხმებულია:

იურიდიული სამსახურის უფროსი  რ.კიციანი

შემუშავებულია:

ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი  ლ.ჯაყელი



## შინაარსი

1. ნორმატიული ბაზა	3
2. ტერმინები. შემოკლებები. განმარტებები	4
3. მუხლი 1.ზოგადი დებულებები	4
4. მუხლი 2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პრინციპები	5
5. მუხლი 3. აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი გადანაწილების წესი	6
6. გავრცელების არე	6

ND 2-O21

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 30.11.2017

მოქმედებაშია 30.11.2017

მოქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის არევიით ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის „ღირებულებები“. რევიზიის ასლზე დაატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინასწარმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარიბის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



## 1. ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01;
2. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;
3. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
4. დოკუმენტების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
5. ჩანაწერების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;
6. „დასკვნითი გამოცდების ორგანიზების, ჩატარებისა და სტუდენტთა მიღწევების შეფასების, პროცედურა“ ND 2-F06;
7. სასწავლო პროცესის პროცედურა , სწავლების საფეხური ბაკალავრიატი ND 2-F04;

## 2. ტერმინები. შემოკლებები. განმარტებები

### 2.1. ტერმინები

- 2.1.1. **აკადემიური თავისუფლება** – აკადემიური თავისუფლება – აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა;
- 2.1.2. **აკადემიური ხარისხი** – კვალიფიკაცია, რომელსაც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 2.1.1. **საგანმანათლებლო პროგრამა** – (კურიკულუმი) – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;
- 2.1.2. **საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები** – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი;
- 2.1.3. **სენატი** – საზღვაო აკადემიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
- 2.1.4. **აკადემიური წოდება** – წოდება (საპატიო დოქტორი, ემერიტუსი), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიჭება მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს

ND 2-O21

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 30.11.2017

მოქმედებაშია 30.11.2017

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის აქტუალობის ნაკლები ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დროებითი ვერსიის“ რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიაღწევა როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სასწავლო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელო და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



- განსაკუთრებული დამსახურებისთვის;
- 2.1.5. **პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
  - 2.1.6. **ასოცირებული პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
  - 2.1.7. **ასისტენტ-პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც თავისი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში;
  - 2.1.8. **ასისტენტი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორის ან ასისტენტ-პროფესორის ხელმძღვანელობით;

## 2.1. შემოკლებები

- 2.1.1. **ECTS - The European Credit Transfer (and Accumulation) System** - ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა სტუდენტზე ორიენტირებული სისტემაა, რომელიც ეფუძნება სწავლის შედეგებისა და სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას.

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე მეთოდოლოგიის მეშვეობით განისაზღვრება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში (შემდგომში „აკადემია“) აკადემიური პერსონალის რაოდენობის გამოთვლის მეთოდური საფუძვლები და წესი.
2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მიზნით რექტორის ბრძანებით, მიმდინარე ავტორიზაციის ვადით, ფაკულტეტებიდან არანაკლებ ერთი წარმომადგენლის მონაწილეობით (გარდა დეკანისა, რომელიც ex officio სახით ჩართულია კომისიის მუშაობაში), იქმნება კომისია, რომელიც წინამდებარე

ND 2-O21

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 30.11.2017

მოქმედებაშია 30.11.2017

შექმნილია არ ჩაითვალოს დოკუმენტის აქტიურობის ნიშნად ანუ თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ანუ დოკუმენტი არაა დატანება პროცესში პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეზღუდვაში ანუ ჩაითვალოს როგორც „არააქტიური დოკუმენტი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ანუ იხილოთ ვებგვერდი [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



მეთოდოლოგიისა და წესის საფუძველზე წარმოადგენს დასკვნას აკადემიურ თანამდებობათა ზღვრული რაოდენობის შესახებ. კომისიის დასკვნა გადაეგზავნება სენატს დასამტკიცებლად.

3. კომისია მხედველობაში ღებულობს აკადემიური თანამდებობის პირის დატვირთვის მოცულობებს (მოქმედი წესის მიხედვით) სტუდენტთა ჯგუფებისა და სასწავლო წლის გათვალისწინებით;
4. სენატის გადაწყვეტილება აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ წარმოადგენს აკადემიური პერსონალის ნაწილში სამტატო განრიგის კორექტირების საფუძველს.

## მუხლი 2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის პრინციპები

1. ბსმა-ში აკადემიური პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტის, აკადემიური პერსონალის სახელფასო სარგოსა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი საერთო აკადემიური საათების რაოდენობის (არანაკლებ 40 % და არაუმეტეს 75 %) შესაბამისად;
2. ბსმა-ს აკადემიური პერსონალის მაქსიმალური საერთო რაოდენობის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის უზრუნველყოფი აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას სტუდენტთა რაოდენობა, საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებები, წარმატებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამოცდილება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობის განსაზღვრის საკითხში;
3. უცხოეთიდან მოწვეული აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება უცხოენოვანი სტუდენტების არსებული და სამომავლოდ მისაღები სტუდენტების რაოდენობა და შესაბამისი აკადემიური დატვირთვა;
4. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განსაზღვრული აკადემიური პერსონალის რაოდენობა გადანაწილდება დარგობრივი დეპარტამენტების მიხედვით მოქმედ პროგრამებზე მათ მიერ შესასრულებელი აკადემიური საათების პროპორციულად (აღნიშნული არ გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების არ მქონე დეპარტამენტებში აკადემიური პერსონალის გადანაწილების შესაძლებლობის შეზღუდვას, რომელიც ხორციელდება შესაბამისი ფაკულტეტის დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე);

ND 2-O21

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 30.11.2017

მოქმედებაშია 30.11.2017

მოქმედად არ მიაღწევა დოკუმენტის აქტუალობა ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „ღირებულებების გეგმვაში“. რევიზია ასევე დაატანეს პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარვე შემთხვევაში ასლი მიაღწევა როგორც „არაკორპორირებული“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სწავლური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



### მუხლი 3. აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი გადანაწილების წესი

5. თითოეული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილი უნდა იყოს კვალიფიკაციის განმსაზღვრელ დარგში კომპეტენციის მქონე არანაკლებ 1 პროფესორით და 2 ასოცირებული პროფესორით, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელია დაუშვებელია უმაღლესი აკადემიური პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო საფეხურებზე) შემუშავება და განხორციელება;
1. აკადემიური პერსონალისთვის თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი და ასისტენტი) განაწილებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ბიუჯეტი, საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური, სტრუქტურა, თავისებურებები, საჭიროებები, კვლევებისა და სასწავლო კომპონენტის სპეციფიკა (თეორიული, პრაქტიკული, ლაბორატორიული, კვლევითი და სხვ.) მოცულობა;
2. აღნიშნული წესი არ ვრცელდება საპატიო დოქტორების, პროფესორებისა და აკადემიის ინტერესებიდან გამომდინარე მიზნობრივად მოწვეული მეცნიერებისა და პროფესორების რაოდენობაზე.
3. წინამდებარე წესი ამოქმედდეს 2018-2019 სასწავლო წლიდან.

### 4. გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ექზემპლარს) განთავსებულია [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)
3. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით;

ND 2-O21

სტატუსი: მოქმედი

რევიზია №1

რევიზიის თარიღი 30.11.2017

მოქმედებაშია 30.11.2017

მოქმედად არ მიაღწიეს დოკუმენტის აქტიურობის ნაკვეთი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „აღრიცხული ეგზემპლარი“. რევიზია ასლზე დატანის პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მიაღწიეს როგორც „არაკონტროლებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლიერება ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)